საქართველოს ეროვნული ბანკი
National Bank of Georgia

ქართული და ამიერკავკასიური სსრ ბონი

GEORGIAN AND TRANSCAUCASIAN SSR BONDS

(1922-1924)

ქართული და ამიერკავკასიური სსრ ბონი
GEORGIAN AND TRANSCAUCASIAN SSR BONDS

(1922-1924)

შემდგენელი: როლანდ სპანდერაშვილი
დიზაინერი: ნატა ყუბანეიშვილი

© ფოტო საქართველოს ეროვნული ბანკი
თბილისი 2024

1921 წლის თებერვალ-მარტში საბჭოთა რუსეთის წითელმა არმიამ მოახდინა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ოკუპაცია. საქართველომ დაკარგა დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობა, თუმცა იგი ფორმალურად დამოუკიდებელი იყო საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სახელით. ოკუპაციის დღეებიდანვე ქვეყნის ახალმა მმართველობამ „რევკომმა“ გადაწყვიტა ფულის ნიშნების გამოცემის გაგრძელება, კერძოდ მიმოქცევაში დარჩა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სახელით ემისირებული 1000 და 5000 მანეთიანი ნომინალები, თუმცა ხარისხობრივად დაბალი ხარისხის, უჭვირნიშნო ქაღალდზე იბეჭდებოდა ფული და დამცავი ნიშნების გარდა ბეჭდვისას ფერდაშლის მიმართულებითაც იყო მნიშვნელოვანი ხარვეზები. 1921 წლის მარტიდან ქართული მანეთი უფრო მეტად გაუფასურდა, რასაც ხელს უწყობდა ფულის ნიშნების უკონტროლო ემისია, ხარჯების დაფარვის მცდელობამ ემისიის გზით, ცუდი შედეგი გამოიღო, გაიზარდა სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტი, დაეცა ქართული ფულის გაცვლითი კურსი უცხოურ ვალუტასთან. ამას ხელი შეუწყო საქართველოდან მოსახლეობის მიგრაციამაც. 1921 წლის იანვარში გაცვლითი კურსი ქართული მანეთის გირვანქა სტერლინგთან იყო 1-11 000 ზე, ხოლო უკვე აგვისტოში 1 სტერლინგი - 422 600 ქართული მანეთი. საქართველოში შექმნილი მძიმე ფინანსურ-ეკონომიკური მდგომარეობა ოდნავ გამოსწორდა ე.წ. „ნეპზე“ ანუ ახალ ეკონომიკურ პოლიტიკაზე გადასვლის შემდეგ. ევროპის ქვეყნებთან სავაჭრო-ეკონომიკურ კავშირის გაფართოებამ, სახელმწიფო გადასახადების დროებითმა აკრეფამ დადებითი როლი შეასრულა, თუმცა საქართველოს რევკომმა 1921 წლის 27 თებერვლიდან დააკანონა რსფსრ რუბლის სავალდებული მიღება ქართული მანეთის პარიტეტული კურსით, ხოლო 30 მარტის დადგენილებით, ეს გადაწყვეტილება სომხეთსა და აზერბაიჯანის ფულად ნიშნებზეც გავრცელდა. ამ იძულებითმა კურსმა ქართული მანეთი კიდევ უფრო გააუფასურა, ამას თან ერთვოდა ფულის ნიშნების ემისიის სიჭარბე, 1921 წლის მარტიდან წლის ბოლომდე საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკის მთავრობამ დაბეჭდა 195 მილიარდი მანეთი. 1921 წლის განმავლობაში ასევე საქართველოში დაგროვდა რუსული ფულის დიდი მასა, რომელსაც მოყვა ამ ფულის კურსის დიდი გაუფასურება და შემდგომში მიმოქცევიდან განდევნა. საქართველოს გასაბჭოების წლისთავისათვის ქართული ბონის კურსი 1921 წელთან შედარებით 100-ჯერ გაუფასურებული იყო, ქვეყანაში შექმნილ რთულ ფულად-საკრედიტო პოლიტიკას აკრიტიკებდა პრესაც:

1000 მანეთი. 163x102მმ. იბეჭდებოდა 1921 წლის მარტიდან.

1000 Roubles.163x102mm. Printed from Mart 1921.

1000 მანეთი. 163x102მმ. იბეჭდებოდა 1921 წლის მარტიდან.

1000 Roubles.163x102mm. Printed from Mart 1921.

5000
5000
5000

5000 მანეთი. 175x105 მმ. იბეჭდებოდა 1921 წლის მარტიდან.

5000 Roubles. 175x105 mm. Printed from Mart 1921.

„ფუღის გაიაფება საქართველოს ჩესპუბღიკაში საშინეღია, ამ ღებუღებას ვეჩავინ უაჩყოფს, ის შეღეგებს თითოეუღი მოქაღაქე ყოვეღღე, ყოვეღი ფეხის ნაბიჯზე გჩძნობს“.

1921 წლის ბოლოდან დაიწყო საბჭოთა ცენტრალურმა ხელისუფლებამ ამიერკავკასიის ფედერალიზაციაზე საუბარი და აქტიური კამპანია. ასევე გაჩაღებული იყო პროპაგანდა ქართული ფულის გაუქმების და ერთიან ამიერკავკასიურ ფულზე გადასვლის შესახებ, რასაც საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკის მმართველ რგოლში მყოფი ბოლშევიკების ფრთა ე.წ. „ნაციონალ-უკლონისტები“ წინააღმდეგობას უწევდნენ. 1922 წლის 12 მარტს ამიერკავკასიის სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკების ფედერაციული კავშირი“ შეიქმნა, რომელიც საბოლოოდ იმავე წლის 13 დეკემბერს „ამიერკავკასიის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკის“ ჩამოყალიბებით დასრულდა. ამ მოვლენას კი წინ უძღოდა რიგი ეკონომიკური გადაწყვეტილებები, კერძოდ:

1. ამიერკავკასიის რკინიგზის გაერთიანება
2. საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის საგარეო ვაჭრობის სისტემის გაერთიანება
3. საბჭოთა რესპუბლიკებს 1922 წლის მიწურულიდან აეკრძალათ ევროპის ქვეყნებთან დამოუკიდებლად ვაჭრობა, პროდუქცია მხოლოდ რუსეთის გავლით შემოდიოდა ქვეყანაში
4. საქართველოს სატრანზიტო ფუნქციის ნიველირება
5. საბჭოთა საქართველოში ვალუტის თავისუფალი კურსის შემოღება, რომელსაც ადგილობრივ ბაზარზე ინფლაცია მოყვა.
6. მრეწველობის სხვადასხვა საწარმოთა ნაციონალიზაცია

1921 წლის ზაფხულში საქართველოს რევკომმა მიიღო დადგენილება ხელოვნურად დაწესებული ქართული, რუსული, სომხური და აზერბაიჯანული ფულის ნიშნების პარიტეტული კურსის გაუქმების შესახებ, თუმცა გაუქმებამდე რთულ სიტუაციას კარგად აღწერს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის განათლების და სამხედრო მინისტრი გრიგოლ ლორთქიფანიძე:

„საქართველოს დაპყრობის დროს რუსეთის ჯარებისათვის არ მიუცია ღეგაღუნად რბევისა და „პოგრომების“ ნებართვა, თუმცა ისეთი, თითქოს უჩინარი კონტრიბუცია დაადვეს დამარცხებულ საქართველოს, რომელზეც მეტსაც ვერავითარი აშკარა დამპყრობი ღესპოტი ვერ დააკისრებდა. საქმე იმაშია, რომ პატარა საქართველოს ფული გაცილებით მაღლა იდგა, ვიდრე ვეებერთელა და მდიდარი რუსეთისა და მის მიერ წინათ დაპყრობილ აზერბაიჯანისა და სომხეთის ბონები. და აი, საოკუპაციო მთავრობამ თავის ბრძანებით ყველა საბჭოთა ფულის ნიშნები საქართველოში ქართულ ფულს გაუსწორა და მათი მიღება სავალდებულო გახადა. ეს კი მოასწავებდა საქართველოს საშინელ და სისტემატურ ძარცვას. როდესაც ერთი წლის ასეთი ნიღაბაფარებული ძარცვაგლეჯის შემდეგ ქართული ფული და სხვა საბჭოთა ნიშნები ერთი მეორეს დააცილეს და მათ შორის ასე თუ ისე დამყარდა თავისუფალი მეტოქეობა, გამოირკვა, რომ ქართული ფული დაახლოებით 60-80 ჯერ მეტი ღირდა, ვიდრე საბჭოთა ნიშნები. ესე იგი, მთელი წლის განმავლობაში საქართველოში ვაგონებით მიჰქონდთ თავისი უფასო ქაღალდის ბონები და 60-80 მანეთის ღირებული სიმდიდრე მანეთად მიჰქონდათ. ამგვარად, აშკარა „გრაბნელელია“-ს მაგიერ დამპყრობელმა ისეთი ფარული „გრაბ-გოდ“-ი მოუწყო საქართველოს და მის ფინანსურ კეთილდღეობას გამოსჭრა ყელი, რომ რუსთა არმიების ვერავითარი ერთდროული ძარცვა-რბევა და თარეში ვერ დააყენებდა საქართველოს ეროვნული ეკონომიკისა და ფინანსების ძარღვს“.

საქართველოს რევკომის ზემოთაღნიშნულმა გადაწყვეტილებამ, რთულ სიტუაციაში ჩააგდო, საქართველოს ეკონომიკა და ქართველი ხალხის ცხოვრება. რასაც აღიარებდნენ კიდეც მთავრობის მესვეურები. 1922 წლის 10 თებერვალს სერგო ორჯონიკიძე სტალინს მოსკოვში ატყობინებდა:

„ეს დღეებია ხუსუღი მანეთის კუხსი საშინღად დაეცა 50-60%-ით. მიზეზი ჯეჰ აჰ აჰის გაჰკვეუღი. სვანიძე ამას იმით ხსნის, ჰომ ჩვენში ფუღის ნიშნები ღიდი ჰაოდენობით მოზღვავდა. ეჰთობ ცუდი მდგომაჰეობაა. პუჰი 17 ათასიდან 45 ათასამდე გაძვიჰდა. ყვეღანი ჯანდაბას იქით წასუღან გთხოვთ მიპასუხოთ, ოჰჯონიკიძე“

რასაც 14 თებერვალს სტალინმა უპასუხა:

„მგონია მანეთის კუხსის დაცემა, ჰუსეთის ფუღის მოზღვავებით აიხსნება. ჰაც პოჰტო-ფჰანკოთია გამოწვეუღი. დასკვნა ნათეღია. სტაღინი“.

ქვეყანაში შექმნილ მძიმე ფინანსურ-ეკონომიკურ მდგომარეობის შესახებ იუწყებოდა 1922 წლის 28 აპრილის გაზეთ კომუნისტის ნომერიც.

„ფუღის გაიაფება საქაჰთვეღოს ჰესპუბღიკაში საშინეღია. ამ დებუღებას ვეჰავინ ვეჰ უაჰყოფს. მის შეღეგებს თითოეუღი მოქაღაქე ყოვეღდღე, ყოვეღ ფეხის ნაბიჯზე გჰძნობს“.

ქვეყანაში მიმდინარე რთულ ფულად-საკრედიტო პოლიტიკაზე პირად დღიურში წერდა საქართველოს სახელმწიფო ბანკის და შემდეგში კი სახალხო ბანკის მმართველი, საზოგადო მოღვაწე იასონ ლორთქიფანიძე: 3.VI.22 წ.

„მაისის 29-ში გამოაცხადეს ვაღუტის თავისუფაღი კუხსი. ოჰი დღის განმავღობაში ვაღუტამ აიწია წინეთ იყო 215 თათჰის ღიჰა, თავისუფაღი კუხსის გამოცხადების შემდეგ 225-230, მაგჰამ შემდეგ ხეღახღა დავაჰდა და ახღა 205-210 -ია“.

თავისუფალმა სავალუტო კურსმა კიდევ უფრო დაამძიმა სიტუაცია ქვეყანაში, სწორედ არსებული რთული მდგომარეობის გამოსასწორებლად, გადაწყდა საქართველოს სსრ სახალხო ბანკს გამოეშვა საბანკო ვალდებულებები, რომლითაც მოიზიდავდა მოსახლეობისგან ფულად რესურსს ბიუჯეტში. 1922 წლის 31

მაისს, მიმოქცევაში გაუშვეს 100 000, 500 000, 1 000 000 და 5 000 000 მანეთის ნომინალის ვალდებულებები. საბანკო ვალდებულებები დაბეჭდილი იყო ჭვირნიშნია ძვირფას ფურცელზე, ზომით 260x124მმ. ობლიგაციებზე დატანილი იყო, საქართველოს საბჭოთა გერბი, წარწერები ქართულ, რუსულ და ფრანგულ ენებზე, ასევე იყო ფაქსიმილიეები სახალხო ბანკის მმართველის, მთავარი კონტროლიორისა და მთავარი მოლარის ფაქსიმილეები. 1922 წლის ზაფხულში პირველადი მოხმარების საკვები პროდუქტების ფასმა კლება დაიწყო - ქართულ მანეთებში. თუმცა საბჭოთა ცენტრალური ხელისუფლების მიერ გადადგმულმა ნაბიჯებმა ქართული ფულადი ბაზარს დიდი რყევა და ინფლაცია მოუტანა. ერთ-ერთი მიზეზი ამ მდგომარეობისა საქართველოს საბაჟო სისტემის რუსეთთან და ამიერკავკასიის ქვეყნების საბაჟო სისტემებთან გაერთიანება იყო. ამ საკითხზე შეშფოთებას გამოთქვამდა იასონ ლორთქიფანიძე საკუთარ დღიურში.

9.V. 1922.

„დღეს ეპ. აღშიბაია შემოვახდა ჩემს კაბინეტში და მითხა: დღეს აქაუჰ საგახეო ვაჭრობის კომისახიატში შევტყვე, ჰომ სვანიძეს მოუწეხია ხეღი დამოჟნის ხეღშეკჰუღებაზე, ჰომღითაც მთეღი ამიეჰკავკასიის დამოჟნები და საქახთვეღოსიც უეჰთდება ჰუსეთის დამოჟნის უწყებას. თუ ეს ასე იყო, - ამბობდა აღშიბაია, - მაშინ ჰა საჭიჰო იყო საფინანსო უწყების გაცაღკავება და ცაღკე ფუღზე ღაპახაკი?“

კომუნისტი

№ 93 — პარასკევი, 28 აპრილი 1927 წ. — ყოველდღიური გაზეთი

ფასი 10,000 მან. ადგილობრივი 12,000 მან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

№ 93 — პარასკევი, 28 აპრილი 1927 წ.

ᲒᲐᲜᲬᲘᲡ №. 128.

ᲨᲕᲔᲚᲐ ᲡᲐᲗᲚᲗᲝ ᲓᲐ ᲡᲐᲛᲔᲖᲠᲝ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲗᲔᲑᲘᲡ

ᲡᲐᲠᲒᲔᲑᲚᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲗᲔᲚᲔᲑᲘᲡ

[illegible]

ᲒᲐᲜᲬᲘᲡ №. 129.

ᲨᲕᲔᲚᲐ ᲡᲐᲗᲚᲗᲝ ᲓᲐ ᲡᲐᲛᲔᲖᲠᲝ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲗᲔᲑᲘᲡ

ᲡᲐᲠᲒᲔᲑᲚᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲗᲔᲚᲔᲑᲘᲡ

[illegible]

ᲒᲔᲜᲣᲘᲡ ᲙᲝᲜᲤᲔᲠᲔᲜᲪᲘᲐ

[illegible]

წერილები ჩვენი ეკონომიური მდგომარეობის შესახებ

I

[illegible]

[illegible] ფ. ინფლიაციის შედეგად სტერლინგის ფასის ზრდა, ფასის ზრდა, კანონისტატა — 32,218,1 პროც. სტერლინგი ფასის ცვლილება, [illegible] ზემოდგომ იყო: 1919 წლიდან დაწყებული ინგლისის სტერლინგის [illegible] საქართველოს [illegible] ნაწილებზე შეფასებულად იზრდება, ეს ცვლილება ბაზა დიდი ნაბიჯებში. ამის 1919—1921 წ. ეს იყო ორი წლის განმავლობაში სტერლინგის ფასის ზრდა [illegible] 32,218,1 პროც. ეს იყო სტერლინგის ფასი 325 ჯერ გაიზარდა, ანუ საქართველოს ფულის ნაწილის [illegible] 325-ჯერ დაეცა შეფასებულ. 1920 წ. [illegible] სტერლინგის ფასი ძალიან [illegible] 1921 წ. [illegible] სტერლინგის ფასი კიდევ უფრო ვაიზარდა. 1921 წ. თებერვლიდან [illegible] სტერლინგის ფასის ცვლა შემდეგნაირ [illegible]

[illegible]	17,875	0
[illegible]	18,875	5,6 პროც.
[illegible]	68,500	252,7 „
[illegible]	116,000	74,4 „
[illegible]	198,300	70,9 „
[illegible]	282,500	41,9 „
[illegible]	379,000	34,1 „
[illegible]	422,600	11,5 „
[illegible]	367,300	15,4 „
[illegible]	397,500	8,3 „
[illegible]	458,000	33,1 „
[illegible]	868,125	96,1 „

1921 წ. დეკემბერში [illegible] ბით [illegible] სტერლინგის ფასი გაიზარდა 4825,6 პროც. ანუ 48 ჯერ. 1921 წ. სტერლინგის ფასის ზრდა [illegible] ეტაპად [illegible] ეტაპი [illegible] წინა წლებში, სტერლინგის ფასის ზრდა [illegible] ეტაპად [illegible] ეტაპს [illegible] 1921 წ. [illegible] 1919—1920 წლებში სტერლინგის ფასი [illegible]

[illegible] ნაბიჯებით [illegible] ნაბიჯებზე [illegible] ნაბიჯებზე [illegible] ნაბიჯებზე

100 000 მანეთი. საქართველოს სსრ სახალხო ბანკის ვალდებულება. 1922 წელი. 260x124 მმ.

100 000 Roubles. The People's Banks Bond of the Soviet Socialist Republic of Georgia. 1922. 260x124 mm.

100 000 მანეთი. საქართველოს სსრ სახალხო ბანკის ვალდებულება. 1922 წელი. 260x124 მმ.

100 000 Roubles. The People's Banks Bond of the Soviet Socialist Republic of Georgia. 1922. 260x124 mm.

500 000 მანეთი. საქართველოს სსრ სახალხო ბანკის ვალდებულება. 1922 წელი. 260x124 მმ.

500 000 Roubles. The People's Banks Bond of the Soviet Socialist Republic of Georgia. 1922. 260x124 mm.

500 000 მანეთი. საქართველოს სსრ სახალხო ბანკის ვალდებულება. 1922 წელი. 260x124 მმ.

500 000 Roubles. The People's Banks Bond of the Soviet Socialist Republic of Georgia. 1922. 260x124 mm.

1 000 000 მანეთი. საქართველოს სსრ სახალხო ბანკის ვალდებულება. 1922 წელი. 260x124 მმ.

1 000 000 Roubles. The People's Banks Bond of the Soviet Socialist Republic of Georgia. 1922. 260x124 mm.



1 000 000 მანეთი. საქართველოს სსრ სახალხო ბანკის ვალდებულება. 1922 წელი. 260x124 მმ.

1 000 000 Roubles. The People’s Banks Bond of the Soviet Socialist Republic of Georgia. 1922. 260x124 mm.

5 000 000 მანეთი. საქართველოს სსრ სახალხო ბანკის ვალდებულება. 1922 წელი. 260x124 მმ.

5 000 000 Roubles. The People's Banks Bond of the Soviet Socialist Republic of Georgia. 1922. 260x124 mm.

5 000 000 მანეთი. საქართველოს სსრ სახალხო ბანკის ვალდებულება. 1922 წელი. 260x124 მმ.

5 000 000 Roubles. The People's Banks Bond of the Soviet Socialist Republic of Georgia. 1922. 260x124 mm.

1922 წლიდან, კრემლის კარნახით, საბჭოთა რესპუბ-ლიკებმა ვეტო დაადეს ევროპის ქვეყნებთან ვაჭრობას. მთავარი მიმწოდებლის პრეროგატივა ხელთ იგდო რუსეთმა. ამან გამოიწვია საქართველოს, როგორც სატრანზიტო სახელმწიფოს, როლის ნიველირება და საბოლოო ჯამში ქართული მანეთის გაუფასურები ტემპის დაჩქარება. მატულობდა როგორც უცხოური ვალუტის, ისე ოქროს და პროდუქციის ფასები. 1922 წლის შემოდგომიდან უკვე სავალდებულო იყო რუსული ფულის მიღება საქართველოს ტერიტორიაზე. საბჭოთა ხელისუფლებას გადაწყვეტილი ქონდა ჯერ მიმოქცე-ვაში გაეშვა საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკის 10 000 მანეთიანი ბონი, მალევე კი ამიერკავკასიაში მიმოქცევაში ამიერკავკასიური ფედერაციული ფულის ემისია განეხორციელებინა. აღნიშნულთან დაკავში-რებით იასონ ლორთქიფანიძე იგონებდა:

29. VI. 1922 წ.

„დღეს ოტომანის ბანკის წარმომადგენლები იყვნენ სვანიძესთან განყოფილების გახსნის შესახებ. სვანიძემ მიგვიწვია მე და დუმბაძე. დაესწრნენ ბიბინეიშვილი, აღ-შიბაია და ნაიტაკი. იქვე იმავე დღეს, ხომეხიკმა (ექსპე-დიციის გამგემ) მოიტანა ამიერკავკასიის ხესპუბლიკების საერთო ფულის ნიშანი. ნიშანი სრულად გავს, როგორც ზომით, ისე ფერადობით და ფიგურებით ქართულ ბონებს. ყველა დამსწრეთ(სვანიძეს, ბიბინეიშვილის,დუმბაძეს, ნაიტაკს) ძლიერ მოეწონათ იგი და გამოსთქვეს ის აზრი, რომ რადგან საერთო ნიშანი ძლიერ წააგავს ქართულ ბონს, ხალხში ქართულ ბონად გავა და ამიტომ კურსი ორივესი ერთგვარი იქნება!!!“

1922 წლის ბოლოს, კერძოდ 11 დეკემბრიდან მიმოქ-ცევაში გავიდა, საქართველოს სსრ რესპუბლიკის 10 000 მანეთიანი ბონი, რომელიც ვიზუალურად თითქმის არ განსხვავდებოდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის 5000 მანეთიანი ბონისგან, თუ არ ჩა-თვლით, სიმბოლოების ცვლილებას, კერძოდ: 10 000 ბონზე გამოსახული იყო საბჭოთა საქართველოს გერბი, ნაცვლად საქართველოს დემოკრატიული რეს-პუბლიკის გერბისგან, რომელიც გამოსახული იყო 5000 მანეთიან ბონზე. ასევე 10 000 ბონზე გამოსახულ საქართველოს დამფუძნებელი კრების შენობაზე ფრი-

ალებდა საბჭოთა წითელი დროშა, 5000 მანეთიანზე კი სამფეროვანი პირველი ქართული დროშა. ქვეყნის წარწერა დატანილია: „საქართველოს რესპუბლიკა“, ნაცვლად „საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა“. ბონზე დატანილი იყო: საქართველოს სსრ-ის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მამია ორახელაშვილისა და საქართველოში ამიერკავკასიის ფინანსთა სახალხო კომისრის რწმუნებულის ბართ-ლომე (ბარონ) ბიბინეიშვილის ფაქსიმილეები. ახალი ნომინალის მიმოქცევაში გაშვებას და ქვეყანაში 1922 წლის ბოლოსთვის არსებულ რთულ მდგომარეობას აღწერდა იასონ ლორთქიფანიძე:

15.XII. [1922 წ]

„10-ს გამოვიდა ამიერკავკასიის საბჭოს დეკრეტი ქართული ბონების ათი ათასიანი კუპიურების გამოცემის შესახებ ამა თვის 11-დან. ეს ოთხი დღეა, ოქრომ საშინლად აიწია და ავიდა 10 მანეთი ერთი მილიონიდან 8-9 მილიონამდე, სოვზნაკები კი აიწია ერთი მილიონი 12 ½ მანეთიდან 50 მანეთამდე. ხუსეთის ბანკი თანდათან წევდა ზევით ოქროს ფულს, რომ დაეცა ქართული ფული. ეს მართლაც ქნა, მაგრამ, ამასთანავე, ხუსეთის ფულიც ეცემოდა საქართველოში და ცხოვრებაც ძლიერ გაძვირდა. გუშინ უკვე საბჭოთა ორგანიზაციების დუქნები დაიკეტა და საღამოს გუშინ შავს პუჩს ყიდიდნენ 30 ათას მანეთად.”

19.XII. [1922]

„ეს სამი დღეა, რაც ვაღუტა დაეცა, რადგან ხუსეთის ბანკმა ფასი დასწია, ფქვილი და შაქარი წინანდელ ფა-სებში აიძულეს გაყიდონ და სხვა; 13,14,15/XII ოქრო ძლიერ აიწია - თითქმის 12 მილიონამდე ავიდა. ეს გამოწ-ვეული იყო ქართული ბონების 10-ათასმანეთიანი კუ-პიურების გამოცემით და იმ სქემით, რომ ქართული ბო-ნები პირველი იანვრიდან გერთიანებული იქნებიან თუ ფედერალიზაციულ ფულებთან, თუ ხუსულ ნიშნებთან და შემდეგ კი გაუქმებულნი. ხუსეთის ბანკი თანდათან წევდა ოქროს ფასს. საზოგადოებას რომ აღელვება დაეტყო, მაშინ ჩვე-ნს სახალხო ბანკის დააბრალეს. ჩეკას წარმომადგენელიც იყო- გამოჰკითხა ლუმბაძეს, ნაიტაკს და გამოიკვა, რომ ამ დღეების განმავლობაში ჩვენ გვიყიდია სულ ერთადერთი ოქრო. ამაზედ ჩვენ მოხსენებაც გავუგზავნეთ ცეკას, სოვნარკომს და ორივე ჩეკას.”

10 000 მანეთი. საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა. 1922 წელი. 175x105 მმ.
10 000 Roubles. The Soviet Socialist Republic of Georgia. 1922. 175x105 mm.

10 000 მანეთი. საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა. 1922 წელი. 175x105 მმ.

10 000 Roubles. The Soviet Socialist Republic of Georgia. 1922. 175x105 mm.

საბჭოთა რეჟიმმა მოსახლეობას ოქროს მონეტების შენახვა კანონით აუკრძალა. საბჭოთა ჩეკას წარმომადგენლებს უფლება მიეცათ, ოქროს აღმოჩენის შემთხვევაში მისი რეკვიზიცია მოეხდინათ. 1922 წლის დეკემბერში მოსახლეობაში გავრცელდა ხმა, რომ ქართულ მანეთს წლის ბოლომდე სავსებით უნდა დაეკარგა მსყიდველობითი უნარი, ოქროზე, ვალუტაზე და საქონელზე ფასი ელვისებურად იზრდებოდა. ქვეყანაში არსებული ეკონომიკური და ფინანსური პოლიტიკის გამო, მოსახლეობაში წარმოქმნილი მოლოდინების შედეგად მკვეთრად გაიზარდა აჟიოტაჟური მოთხოვნა, განსაკუთრებით კი კვებისა და პირადი მოხმარების საქონელზე.

1923 წლის 10 იანვარს ამიერკავკასიის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკის საკავშირო საბჭომ მიიღო დეკრეტი „ამიერკავკასიის ერთიანი ფულის ნიშნების გამოცემის შესახებ“, რომლის თანახმად მიმოქცევაში გავიდა: 1,5,10,25,50,100, 250, 500 ათასი და 1 მილიონი მანეთის ნომინალის ბონები, რომელთაც იმავე წელს დაემატა 5 და 10 მილიონიანიც. მიმოქცევაში ამიერკავკასიური ბონების გაშვებასთან ერთვოდა მეორე დეკრატი „ამიერკავკასიის ერთიანი ფულის ნიშნების მიხედვით ანგარიშის წარმოების შესახებ.“, რომლის მიხედვითაც ამიერკავკასიის ფედერალური მანეთის კურსი გათანაბრებული იყო მანამდე მიმოქცევაში არსებულ საქართველოს სსრ-ის მანეთის კურსთან, იმავდროულად ამიერკავკასიის ფედერაციული 1 მანეთი უდრიდა 100 აზერბაიჯანულ მანათს და 150 სომხურ რუბლს. მიმოქცევაში გასული ფედერაციული ფულის ნიშნების დიზაინი ძირითადად იმეორებდა 1922 წლის 10 000 ქართული ბონის დიზაინს, წინა მხარეს გამოსახული იყო იმხანად ამიერკავკასიის მთავრობის სასახლე, დატანილი იყო ამიერკავკასიის საბჭოს პრეზიდიუმის წევრთა: ბუდუ მდივანის, ნარიმან ნარიმოანოვისა და ალექსანდრ მიასნიკოვის ფაქსიმილეები. ბანკნოტების რევერსზე გამოსახული იყო ამიერკავკასიის საბჭოთა ფედერაციის გერბი. დატანილი იყო წარწერები: ქართულ, სომხურ, აზერბაიჯანულ და რუსულ ენებზე. ბანკნოტების ნაწილი დაიბეჭდა მოსკოვში, ნაწილი კი თბილისში სახელწმიფო ქაღალდების დამზადების ექსპედიციაში. 1923 წელს მოსკოვში დაბეჭდილ ბონებზე ქართულენოვანი წარწერების ნაწილი შეცდომით იყო, „საქართველოს“ ნაცვლად იყო „საქართვეღო“ და „უდრის“ ნაცვლად „უღრის“.

1000 მანეთი. ამიერკავკასიის საბჭოთა ფედერაცია. 1923. 172x104 მმ.

1000 Roubles. Transcaucasian SFSR. 1923. 172x104 mm.

1000 მანეთი. ამიერკავკასიის საბჭოთა ფედერაცია. 1923. 172x104 მმ.

1000 Roubles. Transcaucasian SFSR. 1923. 172x104 mm.

5000 მანეთი. ამიერკავკასიის საბჭოთა ფედერაცია. 1923. 167x100 მმ.

5000 Roubles. Transcaucasian SFSR. 1923. 167x100 mm.

5000 მანეთი. ამიერკავკასიის საბჭოთა ფედერაცია. 1923. 167x100 მმ.

5000 Roubles. Transcaucasian SFSR. 1923. 167x100 mm.

10 000 მანეთი. ამიერკავკასიის საბჭოთა ფედერაცია. 1923. 172x104 მმ.

10 000 Roubles. Transcaucasian SFSR. 1923. 172x104 mm.

10 000 მანეთი. ამიერკავკასიის საბჭოთა ფედერაცია. 1923. 172x104 მმ.

10 000 Roubles. Transcaucasian SFSR. 1923. 172x104 mm.

10 000 მანეთი. ამიერკავკასიის საბჭოთა ფედერაცია. 1923. 172x104 მმ.

10 000 Roubles. Transcaucasian SFSR. 1923. 172x104 mm.



10 000 მანეთი. ამიერკავკასიის საბჭოთა ფედერაცია. 1923. 172x104 მმ.

10 000 Roubles. Transcaucasian SFSR. 1923. 172x104 mm.

25 000 მანეთი. ამიერკავკასიის საბჭოთა ფედერაცია. 1923. 172x104 მმ.

25 000 Roubles. Transcaucasian SFSR. 1923. 172x104 mm.

25 000 მანეთი. ამიერკავკასიის საბჭოთა ფედერაცია. 1923. 172x104 მმ.

25 000 Roubles. Transcaucasian SFSR. 1923. 172x104 mm.

50 000 მანეთი. ამიერკავკასიის საბჭოთა ფედერაცია. 1923. 168x105 მმ.

50 000 Roubles. Transcaucasian SFSR. 1923. 168x105 mm.



50 000 მანეთი. ამიერკავკასიის საბჭოთა ფედერაცია. 1923. 168x105 მმ.

50 000 Roubles. Transcaucasian SFSR. 1923. 168x105 mm.

100 000 მანეთი. ამიერკავკასიის საბჭოთა ფედერაცია. 1923. 167x100 მმ.

100 000 Roubles. Transcaucasian SFSR. 1923. 167x100 mm.

100 000 მანეთი. ამიერკავკასიის საბჭოთა ფედერაცია. 1923. 167x100 მმ.

100 000 Roubles. Transcaucasian SFSR. 1923. 167x100 mm.

250 000 მანეთი. ამიერკავკასიის საბჭოთა ფედერაცია. 1923. 167x100 მმ.

250 000 Roubles. Transcaucasian SFSR. 1923. 167x100 mm.

250 000 მანეთი. ამიერკავკასიის საბჭოთა ფედერაცია. 1923. 167x100 მმ.

250 000 Roubles. Transcaucasian SFSR. 1923. 167x100 mm.

500 000 მანეთი. ამიერკავკასიის საბჭოთა ფედერაცია. 1923. 168x100 მმ.

500 000 Roubles. Transcaucasian SFSR. 1923. 168x100 mm.

500 000 მანეთი. ამიერკავკასიის საბჭოთა ფედერაცია. 1923. 168x100 მმ.

500 000 Roubles. Transcaucasian SFSR. 1923. 168x100 mm.

1 000 000 მანეთი. ამიერკავკასიის საბჭოთა ფედერაცია. 1923. 168x100 მმ.

1 000 000 Roubles. Transcaucasian SFSR. 1923. 168x100 mm.

1 000 000 მანეთი. ამიერკავკასიის საბჭოთა ფედერაცია. 1923. 168x100 მმ.

1 000 000 Roubles. Transcaucasian SFSR. 1923. 168x100 mm.

5 000 000 მანეთი. ამიერკავკასიის საბჭოთა ფედერაცია. 1923. 168x100 მმ.

5 000 000 Roubles. Transcaucasian SFSR. 1923. 168x100 mm.



5 000 000 მანეთი. ამიერკავკასიის საბჭოთა ფედერაცია. 1923. 168x100 მმ.

5 000 000 Roubles. Transcaucasian SFSR. 1923. 168x100 mm.

10 000 000 მანეთი. ამიერკავკასიის საბჭოთა ფედერაცია. 1923. 168x100 მმ.

10 000 000 Roubles. Transcaucasian SFSR. 1923. 168x100 mm.

10 000 000 მანეთი. ამიერკავკასიის საბჭოთა ფედერაცია. 1923. 168x100 მმ.

10 000 000 Roubles. Transcaucasian SFSR. 1923. 168x100 mm.

بیر میلیارد منات
بیر میلیارد منات
С·С·С·Р · ★ · Ս·Ս·Ս·Ռ · ★ · Հ·Հ·Հ·Հ · ★ · Հ·Ս·Ռ·Ս
ПРОЛЕТАРИИ ВСЕХ
СТРАН СОЕДИНЯЙТЕСЬ!
ՄԻԱՍԱՑԵԼՈՒԲԻ
1 ՄԻԼԻԱՐԴԻ ՄԱՆԵԹԻ

ფედერალურ ვალუტაზე ქართული, აზერბაიჯანული და სომხური ფულის ნიშნების გადაცვლა 1923 წლის 10 აპრილამდე გაგრძელდა. გადაიცვალა 977 მილიარდ მანეთზე მეტი თანხა, რომელთაგან 98% საქართველოში. ამიერკავკასიური მანეთის კურსის გამყარებისათვის საკავშირო მთავრობამ ამიერკავკასიას გამოუყო 150 000 მანეთი ოქრო, 1,5 მილიონი ფუთი ხორბლის ფქვილი და სხვა პროდუქცია. 1924 წელს მიმოქცევაში არსებულ ამიერკავკასიურ ფულის ნიშნებს დაემატა კიდევ შემდეგი ნომინალები: 25, 50, 75, 100 და 250 მილიონიანი, 1 და 10 მილიარდიანი ბონები. ნაწილი ამ ფულის ნიშნებისა დაიბეჭდა მოსკოვში. ავერსზე შეცვლილია ფაქსიმილეები, კერძოდ დატანილია: ამიერკავკასიის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მამია ორახელაშვილისა და ფინანსთა სახალხო კომისრის მირზა დავუდ ბაგირ ოღლი ჰუსეინოვის. 1924 წლის 75, 250 მილიონიანი და 1 და 10 მილიარდიანის დიზაინი შეცვლილია. 10 მილიარდიანი ბონის დიდი ნაწილი მიმოქცევაში არ გასულა.

25 000 000 მანეთი. ამიერკავკასიის საბჭოთა ფედერაცია. 1924. 171x100 მმ.

25 000 000 Roubles. Transcaucasian SFSR. 1924. 171x100 mm.

25 000 000 მანეთი. ამიერკავკასიის საბჭოთა ფედერაცია. 1924. 171x100 მმ.

25 000 000 Roubles. Transcaucasian SFSR. 1924. 171x100 mm.

50 000 000 მანეთი. ამიერკავკასიის საბჭოთა ფედერაცია. 1924. 170x100 მმ.

50 000 000 Roubles. Transcaucasian SFSR. 1924. 170x100 mm.

50 000 000 მანეთი. ამიერკავკასიის საბჭოთა ფედერაცია. 1924. 170x100 მმ.

50 000 000 Roubles. Transcaucasian SFSR. 1924. 170x100 mm.

75 000 000 მანეთი. ამიერკავკასიის საბჭოთა ფედერაცია. 1924. 194x95 მმ.

75 000 000 Roubles. Transcaucasian SFSR. 1924. 194x95 mm.

75 000 000 მანეთი. ამიერკავკასიის საბჭოთა ფედერაცია. 1924. 194x95 მმ.

75 000 000 Roubles. Transcaucasian SFSR. 1924. 194x95 mm.

100 000 000 მანეთი. ამიერკავკასიის საბჭოთა ფედერაცია. 1924. 168x100 მმ.

100 000 000 Roubles. Transcaucasian SFSR. 1924. 168x100 mm.

100 000 000 მანეთი. ამიერკავკასიის საბჭოთა ფედერაცია. 1924. 168x100 მმ.

100 000 000 Roubles. Transcaucasian SFSR. 1924. 168x100 mm.

250 000 000 მანეთი. ამიერკავკასიის საბჭოთა ფედერაცია. 1924. 196x95 მმ.

250 000 000 Roubles. Transcaucasian SFSR. 1924. 196x95 mm.

250 000 000 მანეთი. ამიერკავკასიის საბჭოთა ფედერაცია. 1924. 196x95 მმ.

250 000 000 Roubles. Transcaucasian SFSR. 1924. 196x95 mm.

1 მილიარდი მანეთი. ამიერკავკასიის საბჭოთა ფედერაცია. 1924. 192x91 მმ.

1 Bilion Roubles. Transcaucasian SFSR. 1924. 192x91 mm.



1 მილიარდი მანეთი. ამიერკავკასიის საბჭოთა ფედერაცია. 1924. 192x91 მმ.

1 Bilion Roubles. Transcaucasian SFSR. 1924. 192x91 mm.

1923 წელს ამიერკავკასიაში ფედერალური ფულის ნიშნების შემოღებამ ფასების სტაბილურობას ვერ უშველა, ინფლაცია ჰიპერინფლაციაში გადადიოდა, ფასების ზრდა შეუქცევადად იქცა. არსებული სიტუაციის გამო საბჭოთა ხელისუფლება პერიოდულად სავალუტო ბირჟას ხურავდა თბილისში. ამის შესახებ საკმაოდ საინტერესო მოგონება აქვს იასონ ლორთქიფანიძეს:

26. V. [1923.]
„ჰამდენიმე დღის დახუჰვის შემდეგ ხელახლავ გაიხსნა ბიჰჟა. ოქჰოს კუჰსს აჰც აცხადებენ და მისი გაყიდვა აჰც წაჰმოებს, მაგჰამ სხვა ვაღუტის შესახებ კი უცნაუჰი კუჰსს აწესებენ. სტეჰლინგი იყიდებოდა 15 მილიონად, კუჰსი დანიშნეს 13 მილიონი, ლიჰა იყიდებოდა 2,1 მილიონად, კუჰსი დანიშნეს 1,85 მილიონად, დოლაჰი იყიდებოდა 3,5 მილიონად, კუჰსი დანიშნეს 2,9 მილიონი.“

სიტუაცია კიდევ უფრო მძიმდებოდა, სასურსათო კალათაში შემავალი პროდუქციის ფასი დღიდითდღე იმატებდა. რთულდებოდა სახელფასო და მომსახურეობის გადასახადის გადახდა. იასონ ლორთქიფანიძის მოგონებით, 1923 წლის ზაფხულში კიდევ უფრო მძიმე იყო შედეგი ამიერკავკასიის ფულადი უნიფიცირების.
18. VIII. [1923 წ.]

„ბანკის წლიუჰი ანგაჰიშის (250 ქაჰთუღი და 150 ჰუსუღი ცაღი) დაგვიჯდა 2 მილიაჰდი, ქაღაღდი და ყდაც ამდენივე. ასე ჰომ, თითო ცაღი გვიზის 10 მილიონ. ახლანდელი ფასით შავ ბიჰჟაზე 2,50 ოქჰოს მანეთი და ოფიციაღუჰი კუჰსი 4,75-5.00 მანეთი ოქჰოთი, აი მონიპოლიის შედეგი“

ქვეყაანაში მიმდინარე ფულად-საკრედიტო და ეკონომიკურ პროცესებს 1922 წლიდან ეტაპობრივად ჩამოაშორეს საქართველოს სახალხო ბანკი და მისი მმართველი იასონ ლორთქიფანიძე, 1923 წელს ჯერ ხელმძღვანელის მოადგილედ, მომდევნო წლიდან კი საერთოდ გაანთავისუფლეს და სავაჭრო-სამრეწველო ბანკის მმართველად გადაიყვანეს, ორიოდე წლის შემდეგ კი საერთოდ დაითხოვეს საბანკო სისტემიდან. ქვეყანაში ქაოტური საფინანსო და ეკონომიკური მმართველობის შესახებ საინტერესო მოგონება აქვს იასონ ლორთქიფანიძეს.

„1923 წლის იანვაჰში, ეტყობა ოქჰო შემოაკლდა სახელმწიფო ბანკს და ამიტომ საკავშიჰო საბჭომ „ინტეჰვენციის ფონდი“ შეადგინა, სადაც უნდა შეეტანათ სახელმწიფო ბანკს, ვნეშტოჰგბანკს და სხვა ჰუსეთის დაწესებუღებებს თითოს 10 ათასი ოქჰო.. სუღ საქაჰთველოს

დაწესებულებებს 50 ათასი ოქრო, აღეჰბაიჯანს 35 ათასი ოქრო და სომხეთს 25 ათასი; სულ ყველას 150 ათასი ოქრო. აქედან ჰასაკვიჰველია, მხოლოდ ჰამოდენიმე საქაჰთველოს დაწესებულება შეიტანს და მათ შოჰის სახაღხო ბანკი; სხვებს აჰც აქვთ და აჰც შეიტანენ. 15 იანვჰიდან ამ ფონდიდან ჩვენ გვაიძულებენ გავყიდოთ ჰუსეთის ბანკის დიჰექტივებით თითო კაცზე თითო ოქრო განუჰჩევლად. ჰაც აქამდე ჰუსეთის ბანკში ბიჭ-ბუჭები იყვნენ, ახლა ჩვენს ბანკში იყჰიან თავს.“

ამიერკავკასიის ფედერალურმა მთავრობამ, რთული სიტუაციის დასარეგულირებლად დაიწყო ყოველთვიური ხელფასების ე.წ. სასაქონლო მანეთზე გადაანგარიშება. გამოანგარიშების მიზნით აღებულ იქნა პირველადი მოთხოვნილების 24 დასახელების სოფლის მეურნეობისა და სამრეწველო პროდუქტი, რომელნიც დათვლილ იქნა 1914 წლამდე რუსეთის იმპერიის 10 ოქრო მანეთის მსყიდველობითი კურსით, რომლის მეათედიც ჩაითვალა სასაქონლო მანეთად. დადგინდა, რომ 1913 წელს 10 ოქროს მანეთის მსყიდველობითუნარიანობა 1923 წლის 22 ნოემბრისათვის იყო 287.072.000 ამიერკავკასიური მანეთი, სასაქონლო მანეთად კი განისაზღვრა 27 მილიონი მანეთი. ამიერკავკასიის ფედერალურ მთავრობას ფასების უკონტროლო ზრდის გამო უწევდა ხელფასის მომატებაც, რადგან სასაქონლო მანეთი თვეში ოთხჯერ იცვლებოდა. 1924 წლიდან სიტუაცია კიდევ უფრო დამძიმდა, ამიერკავკასიური მანეთის კურსი დღითიდღე ეცემოდა, თუ წლის დასაწყისში რსფსრ- 1 ჩერვონეცი - 465 მილიონი ამიერკავკასიური მანეთი ღირდა, 14 აპრილისათვის მისმა ფასმა 125 მილიარდს მიაღწია. საბჭოთა ცენტრალურ ხელისუფლებას გადაწყვეტილი ქონდა, ამიერკავკასიური ბონის საერთო-საკავშირო ვალუტით შეცვლის მცდელობა. აღნიშნული სიტუაციაზე საინტერესო მოგონება აქვს ცნობილ ქართველ ფინანსისტს, პროფესორ ნიკო ქოიავას: „1924 წელს ახალი ჩამოსული ვიყავი გერმანიაში მივლინებიდან. დამიძახეს, საქართველოს საკუთარი ფული არ სჭირდება, არც ოქროს და უცხოური ვალუტების საკუტარი მარაგები, ყველაფერი მოსკოვში უნდა შევინახოთ და თქვენი აზრი გვითხარითო. მე სასტიკი წინააღმდეგი წავედი, დავწერე: ქართული ფულის გაუქმებით საქართველოს დამოუკიდებლობას აუქმებთ, ოქროს და კონვერტირებადი ვალუტის მარაგების მოსკოვის ხელში გადაცემით კი საქართველოს ფულად-საკრედიტო და საფინანსო პოლიტიკის ბედს მოსკოველთა ნება-სურვილზე აგებთ. არ დამიჯე-

რეს. მოგვიანებით, ყველაფერი ისე მოხდა, როგორც ვეუბნებოდი, მაგრამ უკვე გვიან იყო“. მიუხედავად, პროფესიული წრეებიდან რჩევებისა, საბჭოთა ცენტრალურ ხელისუფლებას გადაწყვეტული ქონდა საბჭოთა კავშირის ფინანსური და ფულად-საკრედიტო გაერთიანება. 1924 წლის 18 თებერვალს რკპ ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტმა და სახკომსაბჭომ მიიღეს დადგენილება „ამიერკავკასიის სფსრ-ის ტერიტორიაზე სსრკ სახელმწიფო ხაზინის ბილეთების სავალდებულო მიმოქცევის შესახებ. ამ დადგენილებით ამიერკავკასიაში მიმოქცევაში დაკანონდა საბჭოთა „ჩერვონეცები“. ამიერკავკასიის ერთიან ფულად სისტემაზე გადასვლისათვის პროპაგანდისტული წერილები ქვეყნდებოდა ოფიციალურ პრესაშიც. 1924 წლის 4 აპრილის დეკრეტით ამიერკავკასიის საბჭოთა ფედერაციის ხელმძღვანელობა ფულადი რეფორმის განხორციელებას შეუდგა. 14 აპრილის შეწყდა ბონების ბეჭდვა, მეორე დღიდან კი მათი მიმოქცევაში გაშვება. 30 ივნისს ამიერკავკასიური ბონის მიმოქცევა შეწყდა, ხოლო 31 ივლისს კი მათი გადაცვლა საბჭოთა ერთიან ფულზე. გადაცვლილი ფულის 66,7% საქართველოზე მოდიოდა. 1924 წლის 1 ივლისიდან საქართველოში მიმოქცევაში დარჩა მხოლოდ საბჭოთა კავშირის ერთიანი ფულადი ნიშნების - სსრკ-ს მანეთები.

სახელმწიფო ქაღალდები დამამზადებელი ექსპედიციის შენობა.

Декреты Центрального Исполнительного Комитета и Совета Народных Комиссаров.

521. О проведении денежной реформы в Закавказской С. Ф. С. Р.

Утвержден 4-го апреля 1924 года.

В целях унификации денежного обращения на всей территории Союза С. С. Р., Центральный Исполнительный Комитет и Совет Народных Комиссаров Союза С. С. Р. постановляют:

1. Декреты Центрального Исполнительного Комитета и Совета Народных Комиссаров Союза С. С. Р. от 5-го февраля 1924 года о выпуске в обращение государственных казначейских билетов (Собр. Узак. 1924 г. № 32 ст. 288) и от 22-го февраля 1924 года о чеканке и выпуске в обращение серебряной и медной монеты советского образца (Собр. Узак. 1924 г. № 34 ст. 325) распространить на территорию Закавказской С.Ф.С.Р. с 1-го апреля 1924 года, а постановления Совета Труда и Обороны от 29-го февраля 1924 года о снижении розничных цен и о публикации розничных цен (Собр. Узак. 1924 г. № 35 ст. ст. 338, 339)—с 15-го апреля 1924 года.

2. Поручить Центральному Исполнительному Комитету и Совету Народных Комиссаров Закавказской Социалистической Федеративной Советской Республики установить порядок проведения в жизнь настоящего постановления.

Распубликован в № 80 Известий Ц.И.К. и В.Ц.И.К. от 6 апреля 1924 года и № 4 Вестника Правительства Союза С.С.Р. за 1924 год.

ბიბლიოგრაფია

1. ლევან თოიძე, საქართველოს პოლიტიკური ისტორია (1921-1923) თბილისი 1995 წ.
2. გრიგოლ ლორთქიფანიძე, ფიქრები საქართველოზე, პ.სურგულაძის რედაქციით, თბილისი 1995 წ.
3. იასონ ლორთქიფანიძე, დღიური (1915-1932), წიგნში: „XX საუკუნის ქართველ მოღვაწეთა დღიურები, თამაზ ჯოლოგუას რედაქციით, თბილისი 2012 წ.
4. ფული საქართველოში, საქართველოს ეროვნული ბანკი, პირველი გამოცემა, თბილისი 2000 წ.
5. ფულის საქართველოში, საქართველოს ეროვნული ბანკი, მეორე გამოცემა, თბილისი 2003 წ.
6. ნიკო ჯავახიშვილი, ქართული ბონისტიკა , თბილისი 1996 წ.
7. ნიკო ჯავახიშვილი, ქართული ქაღალდის ფულის ისტორია, წიგნში: „ფულის ისტორია საქართველოში“, თბილისი 2022 წ.
8. ჟურნალი ჰეროლდი, N3, თბილისი 2014 წ.
9. ჟურნალი ჰეროლდი, N4, თბილისი 2015 წ.
10. გაზეთი კომუნისტი 17 დეკემბერი, 1922 წ.
11. გაზეთი კომუნისტი 10 იანვარი, 1923 წ.
12. გაზეთი ტრიბუნა 11 იანვარი, 1923 წ.
13. გაზეთი კომუნისტი 1 აპრილი, 1923 წ.
14. გაზეთი კომუნისტი, 18 აპრილი, 1923 წ.
15. გაზეთი კომუნისტი, 20 თებერვალი, 1924 წ.
16. გაზეთი კომუნისტი, 5 აპრილი, 1924 წ.
17. გაზეთი კომუნისტი, 6 აპრილი, 1924 წ.
18. გაზეთი კომუნისტი, 8 აპრილი, 1924 წ.
19. გაზეთი კომუნისტი, 9 აპრილი, 1924 წ.